# ძვირფასი წიგნები, რომლებიც გზას გვიჩვენებენ



# ძვირფასი წიგნები, რომლებიც გზას გვიჩვენებენ

muslimgeorgia


muslim georgia



muslimgeorgia

გამომცემლობის მმართველი:
დრ. იუქსელ სალმან

მწერალი:
ჰაციჯე დემირბა

მხატვარი:
ოსმან თურჰან

კოორდინატორი:
დრ. ომერ მენექშე

რედაქტორი:
ელიფ არსლან

გამომცემლობის ხელმძღვანელი:
მეჰმეთ ერდოან

გრაფიკის დიზაინი:
ლოქომოთიფ ჯ.ა.

ქართულად თარგმნა:
ნინო კახაძე

ქართული გრაფიკა:
ბილალ ილქაი



# ძვირფასი წიგნები, რომლებიც გზას გვიჩვენებენ

რსს გამომცემლობა
muslim Georgia international charity foundation

# სარჩევი


ჩვენი რეცეპტი, სახელმძღვანელო და გიდი ........ 9

მღელვარებით სავსე დღე ........ 14

ყველაზე ლამაზი ადგილი მას ეკუთვნის ........ 19

საუკეთესო წიგნი, საუკეთესო მეგობარი ........ 23

მის წაკითხვას სწავლობს ........ 29

თურმე სხვა წიგნებიც ყოფილა ........ 37

მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი ........ 43






muslim georgia


ظ ح و ط ث غ ن ف ت ج ز ذ د ا ب س ض ص ي ل ع

# ჩვენი რეცეპტი, სახელმძღვანელო და გიდი

დილით გაღვიძებისას, პაწარა გოგონა თავს ძალიან კარგად გრნობდა. ჯერ კიდევ გუშინ კი სიცხისგან იწვოდა. ასე სწრაფად როგორ გამოჯანმრთელდა? ლოგინიდან წამოხტა და ამ სიხარულის გასაზიარებლად, დედასთან მიირბინა. დედამისი გვერდით ოთახში ყურანი ქერიმს კითხულობდა. პაწარა გოგონა დედას გვერდით მიუჯდა და ელოდებოდა, დედამ კითხვა რომ დაასრულა, აფორიაქებულმა უთხრა:

–დედა თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. რა სწრაფად გამოვჯანმრთელდი. ვერ გამიგია რა მოხდა.

დედამ უთხრა:

–ჩემო ფინარ, რა არის ამაში მიუხვედრელი? ექიმის დანიშნულებას ასრულებდი და მალე გამოჯანმრთელდი.

–როგორც ჩანს მართალი ხარ დედა. კარგი და შენ რას აკეთებ?

–ყურანი ქერიმს ვკითხულობ, ჩემო პაწარავ.

–დედა ყურანი ქერიმს რაცომ კითხულობ?

დედას შვილის ეს ინცერესი მოეწონა.

–მისმინე შვილო, ალლაჰმა იმისთვის, რომ სწორი გზა გვეპოვა, ძვირფასი წიგნები გამოგვიგზავნა. ამ წიგნებში ისეთი რამეები წერია, რაც ადამიანმა უნდა იცოდეს. ძვირფასი წიგნები პირველ რიგში იმას გვასწავლის, რომ კარგი ადამიანები უნდა ვიყოთ. სიკეთის გაკეთებისკენ, ადამიანების სიყვარულისკენ, სხვებზე დახმარებისკენ მოგვიწოდებს. გვიხსნის, რომ ისეთი ქმედებებისგან როგორიცაა:

ცუდი, ქუჩის და მსგავსი ცუდი ქცევები, შორს უნდა ვიყოთ. ანუ სწორი გზის პოვნაში გვეხმარება.

–დედა ძვირფასი წიგნები რომ არ ყოფილიყო, სწორ გზას ვერ ვიპოვიდით?

დედამ შვილის ამ კითხვას კითხვითვე უპასუხა:

–ჩემო გოგონა, შენ ექიმის სიცხვებისთვის რომ არ მოგესმინა და დანიშნულებას არ მიჰყოლოდი, ასე სწრაფად გამოჯანმრთელდებოდი?

ფინარი ცოტა ჩაფიქრდა და სიხარულით იყვირა:

–გავიგე დედა რისი თქმაც გინდოდა. ძვირფასი წიგნები ჩვენი ცხოვრების რეცეპტია.

დედა–შვილმა გაიცინა. ფინარს ამ დროს გვერდით ოთახიდან ძმის ცირილის ხმა შემოესმა. მასთან მიირბინა. ხუთი–ათი წუთის შემდეგ სიცილით დაბრუნდა უკან.

–დედა ახლა კი მე გეცყვი შენ მაგალითს. ჩემმა პატარა ძმამ იმ სათამაშოს პატარა ნაწილები ვერ ააწყო, რომლებიც კვერცხში იყო. ქაღალდზე ნაჩვენები ფორმებისთვის რომ დაეხედა, მარტივად და სწორად ააწყობდა.

შვილის ეს მცოდნე გამომეცყველება დედას მოეწონა.

–ყოჩაღ ჩემო გოგონა, როგორ დაფიქრებულხარ, –უთხრა.



muslim georgia

ეს საუბარი ორივეს მოეწონა.

–კარგი ჩემო გოგონა ახლა ეს მითხარი. რამდენიმე დღის წინ, მამაშენმა ძვირფასი სარეცხი მანქანა რომ მიყიდა, როგორ ვისწავლე მისი გამოყენება?

–ინსტრუქციის სახელმძღვანელოდან დედა.

–ანუ?

ორივემ ერთხმად:

–ყურანი ქერიმი ჩვენი ცხოვრების სახელმძღვანელოა, –თქვეს და გაიცინეს.

დედა–შვილი ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ, ამ დროს მამა შევიდა. დაბამბულობა ეცყობოდა.

ფინარმა ჰკითხა:

–რა დაგემართა მამა, რაცომ ხარ დაბამბული?

–რა იქნება შვილო, შენი უფროსი ძმა ხომ ექსკურსიაზე წავიდა...

–დიახ...

–ჯგუფის გიდს არ მიჰყოლია, გზას აცდენია და უამრავი უსიამოვნება შემთხვევია. ძლივს უპოვიათ. ამიცომ დავითრგუნე, –უთხრა.

დედა–შვილმა ერთმანეთს გადახედა და გაეღიმათ. ორივე ერთსა და იმავეს ფიქრობდა.



მამა ვერ მიმხვდარიყო რა ხდებოდა და ფინარმა აუხსნა:

–მამა, მე და დედაც ამ თემაზე ვსაუბრობდით. ჩვენთვის გიდები ძალიან მნიშვნელოვანია. დიდმა ალლაჰმა გზის მაჩვენებლად ძვირფასი წიგნები გამოგვიგზავნა. ჩემი ძმა გიდს არ მიჰყოლია და ექსკურსიაზე გზა დაუკარგავს. ყურანი ქერიმიც ჩვენი ცხოვრების გზამკვლევია. მას თუ მივყვებით გზას არ დავკარგავთ და სწორი გზიდან არ გადავუხვევთ.

მამამ შვილის სიტყვები რომ მოისმინა, გული აუჩუყდა და შვილით იამაყა.

–მაშინ ხვალ სკოლის მერე ერთად წავიდეთ და შენთვის ყურანი ქერიმი ვიყიდოთ, –უთხრა.

ფინარს ძალიან გაუხარდა. დედას ანიშნა.

–მოდი დედა, ერთად ვთქვათ. ყურანი ქერიმი... ერთი, ორი, სამი...

ორვემ ერთად: "ჩვენი რეცეპტი, სახელმძღვანელო და გიდია." თქვა და გაიცინა.

## დაიმახსოვრეთ

" ჭეშმარიც გზად და მახარობლად მორწმუნეთათვის, რომელნიც აღავლენენ ლოცვას, გასცემენ ზექათს და მტკიცედ სწამთ საიქიოსი!" (ნემლ 2–3)



# მღელვარებით სავსე დღე

ფინარი მეორე დილით სკოლაში წასვლისას აფორიაქებული იყო. მასწავლებელს წიგნის კითხვის შეჯიბრი მოეწყო, რომელშიც ყველა იღებდა მონაწილეობას. ვინც ყველაზე მეტს წაიკითხავდა და შინაარსს დაწერდა, პირველი იქნებოდა. ამიტომაც, ფინარი როგორც კი დროს გამონახავდა, წიგნს კითხულობდა. ნეტავ მისი მეგობრებიდან მასზე მეტი ვინმემ წაიკითხა? ვნახოთ ვინ იქნება პირველი. მასწავლებელმა ყველას შინაარსი წაიკითხა. თქვა, რომ ბოლო გაკვეთილის ბოლოს გამოავლენდა გამარჯვებულს. ზარის დარეკვამდე 5 წუთი იყო დარჩენილი. მასწავლებელმა შედეგები გამოაცხადა. ფინარი მეორე იყო. კლასიდან ერთ-ერთ მეგობარს მასზე ერთი წიგნით მეტი წაეკითხა. "ნეტავ უფრო მეტი მეკითხა" – გაიფიქრა ფინარმა. თუმცა, როდესაც მასწავლებელმა გამოაცხადა, რომ პირველ სამ ადგილზე გასულს წიგნით დააჯილდოვებდა, ფინარს ძალიან გაეხარდა.

– მასწავლებელო, შეიძლება რაღაც ვთქვა? – ჰკითხა.

საკუთარი აზრების მეგობრებისთვის გაზიარება უნდოდა:

– მასწავლებელო, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ვერ გავხდი, კითხვა შემიყვარდა. ადრე არ მიყვარდა წიგნის კითხვა. ვფიქრობდი რომ მოსაწყენი იყო, თუმცა რაც უფრო ვკითხულობდი, მით უფრო მიყვარდებოდა. გავაცნობიერე რომ თითოეული მათგანი განსხვავებულ სამყაროს წარმოადგენდა. მეც ამ სამყაროში გადავეშვი და თითოეულისგან ახალი რამ ვისწავლე. უკვე ძალიან მიყვარს კითხვა.

ეს სიტყვები მასწავლებელს ძალიან მოეწონა.



–ბავშვებო, მინდა ყველამ განიცადოთ ეს გრძნობა. თქვენმა მეგობარმა, ფინარმა, ნამდვილი საჩუქარი მოიგო, კითხვა შეიყვარა. მე მსურს რომ ყველა თქვენგანმა კითხვა შეიყვაროს. ამისთვის კი კიდევ ერთ შეჯიბრს მოვაწყობთ, –თქვა.

მოსწავლეები ამ ამბავმა გაახარა და სიხარულით ცაში დაუკრეს.

რა მშვენიერი დღე იყო! ფინარი ძალიან ბედნიერი იყო.

დღის მშვენიერება ჯერ არ დასრულებულიყო. მამამ სიცყვა მისცა და ფინართან ერთად ყურანი ქერიმის საყიდლად უნდა წასულიყვნენ. დღის ბოლოს მამა ფინარს სკოლის ჭიშკართან ელოდებოდა. გახარებულმა მიირბინა მამასთან და ჩაეხუტა.

–მოდი ჩქარა წავიდეთ მამა, –უთხრა.

ამ დროს მამას მობილურზე დაურეკეს. ფინარის დედა რეკავდა. ფინარის პატარა ძმა, მუსტაფა, სახლში იყო და ტიროდა. მასწავლებელს იმ მოსწავლეებისთვის, რომლებმაც მალე ისწავლეს კითხვა, ბაფთა მიემაგრებინა. მისთვის კი არ მიემაგრებინა. ამიტომაც ტიროდა. საბრალო ქალმა არ იცოდა რა მოემოქმედებინა.

მამა–შვილმა თავი ვერ შეიკავა და მუსტაფაზე გაეცინათ.

სინამდვილეში რამდენად მნიშვნელოვანია კითხვა, გაიფიქრა იმ წუთას ფინარმა. ეს აზრები მამას გაუზიარა. იმ დღის ამბები მამას მოუყვა.

–მამა, ჩემს ირგვლივ ყოველი მოვლენა იმაზე მიმითითებს, რომ კითხვა ძალიან მნიშვნელოვანია, – უთხრა.

–დიახ შვილო. კითხვა ჩვენს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ გამოგვიგზავნა ალლაჰმა ძვირფასი წიგნები, –უთხრა.

მამა–შვილი ისე გართულიყო საუბარში, რომ ლამის წიგნის მაღაზიას შეუმჩნევლად ჩაუარეს. ბოლო წამს შეამჩნიეს და მაღაზიაში შევიდნენ.

მამა შვილს დანაპირებს შეუსრულებდა. წიგნის გამყიდველმა მათ ის თარო აჩვენა, სადაც ყურანი ქერიმები ელაგა. ფინარი არ იყო სათანადოდ მაღალი, ვერ მიწვდა თაროს, ამიტომაც მამამ აიღო ერთ–ერთი ყურანი ქერიმი და მას მიაწოდა.

ფინარმა ყურანი ქერიმი ხელში რომ დაიჭირა, აღელვება ვერ დამალა.

–მამა რა ლამაზი წიგნია! თითქოს მოუქარგავთ და ოქროსავით მბრწყინავს.

ბედნიერი იყო ასეთი წიგნის პატრონი რომ იყო. ამასთან ერთად მღელვარებას ისიც უმძლავრებდა, რომ ალლაჰის გამოგზავნის წიგნს წაიკითხავდა.

ფინარი აღტაცებით უყურებდა ყურანი ქერიმის ხან ერთ ხან კი მეორე მხარეს. უცებ შეამჩნია, რომ გამყიდველმა შეხედა და გაეღიმა. დაიმორცხვა და თვითონაც ღიმილით უპასუხა. გამყიდველი მიუახლოვდა და უთხრა:

–მას კარგად მოუარე. წიგნის თაროზე ყველაზე ლამაზ ადგილას დადევი ჩემო გოგონა. ის დიდი ალლაჰის ჩვენდამი გამოგზავნილი წიგნია.

გაღიმებულმა ფინარმა თავი დაუქნია და უთხრა:

–კარგი ბიძია. მას კარგად მოვუვლი.

სახლში დაბრუნებისას ფინარი მხოლოდ ახალ წიგნზე ფიქრობდა. ნეტავ ამ წიგნში რა ეწერა? ალლაჰი რას გადმოგვცემდა? ვინ იცის, შეიძლება წიგნი მთლად წაეკითხა, შინაარსი დაეწერა და მასწავლებლისთვისაც ეჩვენებინა.





# ყველაზე ლამაზი ადგილი მას ეკუთვნის

ფინარი როგორც კი მივიდა სახლში, მაშინვე თავისი ოთახისკენ გაიქცა. ყურანი ქერიმი წიგნის თაროზე ყველაზე მაღლა შემოდო და სიხარულით წამოწვა ლოგინზე. წიგნის გამყიდველ მიმიას რჩევას მოუსმინა და წიგნს თაროზე საუკეთესო ადგილი გამოუყო. თანაც უნდოდა ზედა თაროზე შემოედო, რომ ყოველგვარი დაზიანებისგან დაეცვა. აქამდე ასეთი კარგი საჩუქარი არ მიეღო. წამოწოლილი ყურემაც კი ამშვიდებდა ფინარს.

ლამაზი და დამღლელი დღის ბოლოს ლოგინზე წამოწოლილს როგორ ჩაეძინა ვერ მიხვდა. კარზე ზარის ხმამ გამოაღვიძა. მის მისვლამდე დედას მიერმინა და კარი გაეღო.

–დედა ვინ მოვიდა? –ჰკითხა.

–ფოსტალიონი შვილო. შენთვის მეგობარს წერილი გამოუგზავნია.

ფინარი გაიქცა და დედას სიხარულით გამოართვა წერილი. გასულ წელს მათი ქუჩიდან სხვაგან გადასახლებული მეგობრისგან, სერაფისგან, იყო წერილი. წერილი გახსნა და წაიკითხა. სერაფი წერდა, რომ ახალ სკოლას ვერ შეეგუა და ფინარი ენაცრებოდა. "ნეცავ

შეგვეძლოს ისევ ერთად ყოფნა და დავალებების ერთად დაწერა! იმის გამო რომ მანდ არ ვარ, დავალებები არ დაივიწყო, გასაგებია?"–მეგობარს უჩევდა. ფინარი წინადადებებს სწრაფად კითხულობდა. სასწრაფოდ წერილის მეორე მხარე ნახა. ოი საოცრებავ! წერილი დასრულებულა! ნეტავ უფრო მეტი მოეწერა, გაიფიქრა. მეგობარი ისე უყვარდა და ისე ენატრებოდა, რომ არ უნდოდა წერილი დასრულებულიყო. როგორ გაახარა მისმა წერილმა! სერაფმა წერილი გამოგზავნით აჩვენა, რომ ძალიან უყვარდა და არ ივიწყებდა. წერილი დაკეცა და თავის ოთახში შევიდა. წერილი ყველაზე ლამაზ ადგილას უნდა დაედო. სწორედ მაშინ წერილი რომ უნდა დაედო, მამის ნაჩუქარი ყურანი ქერიმი მოხვდა თვალში. მართალია, ყველაზე ლამაზ ადგილას ის შემოედო. წიგნის გამყიდველმა ასე ურჩია. ახლა ხვდებოდა წიგნის გამყიდველმა ასე რატომ უთხრა. სერაფისგან წერილი რომ მიიღო, ძალიან გაუხარდა და ისეთ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ წერილის საუკეთესო ადგილას დადება უნდოდა. "რახან ალლაჰი ჩვენთვის



ყველაზე საყვარელია, ჩვენთვის გამოგზავნილი წიგნი საუკეთესო ადგილას უნდა შევინახოთ" თქვა თავისთვის. წერილი ფოსტალიონმა მოუტანა და ნეტავ ალლაჰმა ეს წიგნი როგორ გამოგვიგზავნა? ოთახის კარი გააღო და დედას ჰკითხა:

–დედა, ალლაჰმა ყურანი ქერიმი ფოსტალიონს გამოატანა?

უცებ დედამისის სიცილი მოესმა.

–რა მოხდა, რატომ იცინი? –ჰკითხა.

დედა მეორე ოთახიდან მასთან მივიდა და უთხრა:

–ჩემო ცხვირო, როგორ შეიძლება ფოსტალიონს მოეტანა. ალლაჰმა ყურანი ქერიმი ერთ–ერთი ანგელოზის, ჯებრაილის, წყალობით გამოგვიგზავნა.

ფინარი ახლა მიხვდა, დედას მასზე რატომ გაეცინა.

–მართლაც სასაცილო კითხვა დამისვამს, –თქვა და თვითონაც გაიცინა.





# საუკეთესო წიგნი, საუკეთესო მეგობარი

ფინარი ოთახში ყოველი შესვლისასა და გამოსვლისას წიგნს უყურებდა. ფინარს მისი იქ დანახვაც კი აბედნიერებდა. ზოგჯერ მტვერს წმენდდა, ყველაზე საყვარელ წიგნს კოცნიდა და თავის ადგილას აბრუნებდა. ერთ დღესაც, მტვრის გადაწმენდისას, მისი ყურადღება რაღაცამ მიიპყრო. ჯერ ყურანი ქერიმს შეხედა, მერე სხვა წიგნებს. რა თქმა უნდა ყურანი ქერიმი სხვა წიგნებთან შედარებით უფრო ლამაზი იყო, მაგრამ კიდევ იყო რაღაც განსხვავება. ეს წიგნი დანარჩენებთან შედარებით უფრო სქელი იყო. სისქე უფრო დიდს აჩენდა, მაგრამ ნეტავ სხვა მიზეზის გამოც ხომ არ იყო სქელი? ჩაფიქრდა... უცებ თავისი მეგობრის, სერაფის, გამოგზავნილი წერილი გაახსენდა. ნეტავ უფრო დიდი ყოფილიყოო, გაივლო გულში. ის ძალიან უყვარდა და მასთან უფრო მეტის გაზიარება უნდოდა. "ალბათ იმის გამო, რომ ალლაჰს ძალიან ვუყვარვართ, ასე დიდი წერილი გამოგვიგზავნა. ჩვენ ვუყვარვართ და ჩვენი ბედნიერება უნდა, ამიტომაც გვიხსნის იმას თუ რა უნდა გავაკეთოთ" –თქვა თავისთვის. წიგნი ახლა უფრო მეტად უყვარდა. ამ აზრმა სულიერად უფრო დაამშვიდა. სასწრაფოდ უნდოდა წიგნის წაკითხვა. წიგნები მხოლოდ იმისთვის არ არსებობენ, რომ გიყვარდეს და აკოცო, წაკითხვაა საჭირო. უნდოდა ჩქარა წაეკითხა და გაეგო ალლაჰმა ხალხს რა გადმოსცა. წიგნი გადაშალა, უყურა, უყურა... დამწუხრდა. მისთვის უცნობი ასოები იყო. "შეუძლებელია, მე ამას ვერ წავიკითხავ! ვერც ვისწავლი! ძალიან რთულია." –თქვა. უეცრად იმედები გაუცრუვდა. იმ წუთასვე გამოვიდა ოთახიდან და მამასთან მიირბინა. მამას ჯერ კიდევ არ ეძინა.




–მამა საჩუქრისთვის კიდევ ერთხელ მადლობას გიხდი, მაგრამ მე ვერ წავიკითხე. ვშიშობ რომ ვერასოდეს წავიკითხავ, –უთხრა.

მამა მიხვდა რომ შვილს იმედები გაუცრუვდა. მან იცოდა ასე რომ მოხდებოდა, მაგრამ გამოსავალი მოეფიქრებინა.

–ნუ დარდობ ჩემო გოგონა. მე ამ სიტუაციიდან გამოსავალი ვიპოვე. თუმცა მანამდე მინდა პატარა ამბავი მოგიყვე, –უთხრა და დაიწყო მოყოლა:

–ერთ სოფელში ცხოვრობდა მარცხელა, მოხუცი კაცი, რომელმაც წერა–კითხვა არ იცოდა. ერთ დღესაც ეს კაცი ძალიან ავად გამხდარა და ქალაქში ჩამოუყვანიათ. მოხუცი ცხოვრებაში პირველად უნდა მისულიყო ექიმთან. ექიმმა გასინჯა, რეცეპტი გამოუწერა და უთხრა "ამ რეცეპტს შვილივით მოუარე." კაცს არასოდეს გაეგონა რეცეპტი რას ნიშნავდა, ამიტომაც სახლში თვალსაჩინო ადგილას დადო და ყოველი გავლისას მას უყურებდა. რაც უფრო დრო გადიოდა, მოხუცი უფრო ავად ხდებოდა. მეზობლებს ისევ ექიმთან წაუყვანიათ. "რატომ არ გააკეთე ის რაც რეცეპტში ეწერა? ხომ გითხარი რეცეპტს შვილივით მოუარე მეთქი." –უთხრა ექიმმა და მოხუცი მაშინ მიხვდა ექიმის



სიცყვებს. ექიმმა რეცეპტზე მთვლა რომ დაავალა, შენახვასა და მთვლას არ გულისხმობდა. უნდოდა ის გაეკეთებინა რაც რეცეპტში ეწერა.

ფინარი ფურადღებით უსმენდა. მამამ ჰკითხა:

– შენი აზრით რატომ მოგიყვები ეს ამბავი?

ფინარმა უპასუხა:

– გავიგე მამა. მთავარი ის კი არაა, რომ ყურანი ქერიმი თაროზე ლამაზ ადგილას შემოვდოთ და გავუფრთხილდეთ. არამედ ის რომ წავიკითხოთ რაც წერია, გავიაზროთ და ვეცადოთ ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოვიყენოთ. მეც სწორედ ეს მინდა. როდესაც გადავშალე და შევხედე, ვიფიქრე რომ ვერასოდეს ვისწავლიდი.


غ
ت
م
و
س
د
ل
ث
ن
ه
ى
ق

–ნუ დანაღვლიანდები ჩემო ლამაზო. ყურანი ქერიმის საყიდლად რომ მივდიოდით, ვიცოდი ეს პრობლემა წამოიჭრებოდა. ამისთვის გამოსავალს ვეძებდი და ვიპოვე. და ფატმას ველაპარაკე, რომელიც გვერდით კორპუსში ცხოვრობს. მას სურს რომ ყურანი ქერიმის კითხვა გასწავლოს. ხვალ სკოლის შემდეგ, შეგიძლია მასთან შეიარო. თავისუფალი დროის მიხედვით, შეგიძლიათ დრო გამოყოთ. შენც ღმერთის ნებით სულ მალე ისწავლი კითხვას.

ფინარს ძალიან გაუხარდა. ოთახში მიირბინა, ყურანი ქერიმი აიღო და აკოცა.

–აქამდე მხოლოდ შენი გარეკანი მომწონდა, მაგრამ ხვალიდან კარგად გაგიცნობ და დავმეგობრდებით, –უთხრა. შემდეგ საკუთარ თავზე გაეცინა, წიგნს რომ ელაპარაკებოდა. ტყუილად არ უთქვამთ რომ წიგნი საუკეთესო მეგობარიაო! რახან ალლაჰის გამოგზავნილი წიგნი საუკეთესოა... საუკეთესო წიგნი საუკეთესო მეგობარი გახდებოდა. "მე თუ არა, სხვა ვის უნდა გაუხარდეს"– ჩაილაპარაკა თავისთვის. ახლა უკვე შეეძლო მშვიდად დაეძინა.




muslimgeorgia

## მის წაკითხვას სწავლობს

ფინარი იმ დღეს სკოლიდან როგორც კი გამოვიდა, ისე რომ სახლში არც შეიარა, გვერდით სადარბაზოსკენ გაიქცა, რომელზეც მამამ უთხრა. ფაცმამ ღიმილით მიიღო და შეიპატიჟა. გადაწყვიცეს კვირაში სამი დღე, მხოლოდ თითო საათი ემეცადინათ. დამშვიდობებისას გასასვლელში ფაცმამ უთხრა:

–მოსვლისას ამდესთის აღება არ დაგავიწყდეს. ყურანის ხელში აღებამდე განბანვით მის მიმართ პატივისცემას გამოვხატავთ.

ფინარმა კარგიო უთხრა და თავი დაუქნია. თუმცა ამდესთის აღება არ იცოდა. არაუშავსო თქვა. რახან დედა ყოველ დღე ყურანი ქერიმს კითხულობს, მას ეცოდინება და მისგან ვისწავლი, გაიფიქრა.

სახლში მისვლისას პირველი რაც გააკეთა ის იყო, რომ დედას ჰკითხა ამდესთი როგორ აიღო. დედამ ერთი წუთი დალოდება სთხოვა და ოთახიდან გავიდა. პატარა წიგნით დაბრუნდა. ფინარს გაუწოდა და უთხრა რომ გადაეშალა. ფინარმა პატარა, საყვარელი წიგნი გამოართვა. როდესაც გადაშალა, დაინახა მის მსგავსად პატარა ბავშვების ფოცოები, თუ როგორ ასრულებდნენ განბანვას. რიგის მიხედვით ამდესთის ყველა მოძრაობას აჩვენებდა. მათზე ყურებით სრულიად მარცივად შეძლებდა ამდესთის აღებას. დედას მადლობა გადაუხადა. წიგნის მიხედვით ამდესთი აიღო. რა კარგია ამდესთის აღება! პირი, ცხვირი, სახე, მკლავები, ფეხები... ყველაფერი დაიბანა.



muslim georgia

ახლა მივხვდით, თქვა. ყურანი ქერიმი, რომელიც ახლა უკვე ჩემი საუკეთესო მეგობარია, მასთან მისვლისას უნდა რომ სუფთა ვიყო. დახე ერთი ამ მეგობარს, უკვე რაღაცებს მასწავლის! საუკეთესო მეგობარი საქმეს შეუდგა. კითხვას რომ დავიწყებ და მასთან დროს გავატარებ, ვინ იცის მერე რამდენ რამეს მასწავლისო, ფიქრობდა.

დღეები მალე გადიოდა. ფინარი ფატმასთან სიარულით ყურანი ქერიმის კითხვას საკმაოდ დაეუფლა. იმის გამო, რომ კვირაში მხოლოდ სამი საათი მეცადინეობდა, გაკვეთილების მომზადებაშიც არ ეშლებოდა ხელი. ფინარი ფიქრობდა, "მეგონა ძალიან რთული იქნებოდა, მაგრამ ასე არ ყოფილა." ის ასოები, რომლებიც ასე რთულად გამოიყურებოდნენ, მარცხივად დასასწავლი აღმოჩნდა და ის უკვე კითხულობდა. უცებ სახლში მომხდარი ამბავი გაახსენდა. ყურანი ქერიმის კითხვისას მისი ბაბუა არავისთან საუბრობდა. თითქოს მასში იკარგებოდა. ერთხელ კი ფინარის პატარა ძმა, მუსტაფა, ბაბუასთან ყურანი ქერიმის კითხვისას მივიდა და ისევე როგორც ყოველთვის, ჩვეული ანცობა დაიწყო. ბაბუამ ყურადღება რომ არ მიაქცია, გაჯიუტდა, წვერზეც კი დაექაჩა და პასუხს ელოდებოდა. ბაბუას არაფერზე ჰქონდა რეაქცია და ტირილით გაიქცა დედასთან.

–დედა, ბაბუა გამინაწყენდა, არ მელაპარაკება, არ მპასუხობს, –უთხრა. დედამ ხელი ჩაჰკიდა, ბაბუასთან მივიდნენ და მიხვდა რაშიც იყო საქმე.

–მომისმინე შვილო, ადამიანი ყურანი ქერიმს რომ კითხულობს, არ უნდა შევაწუხოთ. იმის გამო რომ ყურანი ქერიმს კითხულობს, ვერ გიპასუხებს, –უთხრა. ანუ ბაბუა მუსაცათაზე არ იყო განაწყენებული. ყურანი ქერიმს კითხულობდა და ამიტომ ვერ უპასუხა. წყნარად ელოდებოდა, ვიდრე ბაბუა კითხვას დაასრულებდა.

როგორც კი დაასრულა, ბაბუას მოეხვია და აკოცა. შემდეგ კი ცელქობისთვის და წვერის მოქაჩვისთვის ბოდიში მოუხადა. ფინარი ახლა უკეთ ხვდებოდა, ბაბუა ასე რატომ მოიქცა. ყურანი ქერიმის კითხვისას თვითონაც ეფლობოდა მასში და ირგვლივ არაფერს აქცევდა ყურადღებას. ისეთი ინტერესითა და ცნობისმოყვარეობით კითხულობდა, როგორც საყვარელი ადამიანისგან მიღებულ წერილს. ამის მიზეზი ალლაჰისადმი სიყვარული იყო. აინტერესებდა მას და ასევე ყველა ადამიანს რას ეუბნებოდა. უკვე ხვდებოდა, ყურანი ქერიმის კითხვისას წყნარად რატომ უნდა ყოფილიყვნენ. "ალლაჰმა, რომელმაც უთვალავი სილამაზე გვიბოძა და ჩვენ გაგვაჩინა, წერილი გამოგვიგზავნა. ამ წერილში გვიხსნის თუ რამდენად ვუყვარვართ და როგორ უნდა ჩვენთვის ბედნიერება. ამასთან ერთად იმასაც გვასწავლის, თუ როგორ უნდა ვიყოთ ბედნიერნი. ამიტომაც, ამ წერილისადმი უპატივცემულობა და უყურადღებობა არ მოგვიხდება. მისი კითხვისას წყნარად უნდა ვიყოთ და პატივი უნდა ვცეთ" –ჩაილაპარაკა თავისთვის. იმდენად წასულიყო ამ ფიქრებში, რომ სულ დაავიწყდა და ფატმასთან რომ იყო სახლში. კიდევ კარგი მისი ჩურჩული არავის გაუგია.



უცებ ფატმას ცუდი გრძნობა დაეუფლა. სულ ფატმასთან მოვდივარ

სახლში, ნეტავ ხომ არ ვაწუხებ? –დაეჭვებული ფიქრობდა. ეს ფიქრები რომ გაუზიარა, ფატმამ უთხრა:

–ჩემო ფინარ, ასეთი რამ როგორ იფიქრე? რა თქმა უნდა არ მაწუხებ, შენი მოსვლა მახარებს. თანაც ჩვენი შუამავალი ხომ ამბობდა, "ადამიანებისგან ყველაზე ძვირფასნი ისინი არიან, ვინც ყურანს სწავლობენ და ასწავლიან." ამიტომაც, შენი მოსვლა არა მხოლოდ შენთვის, ჩემთვისაც ძალიან კარგია.

ფინარს გაუკვირდა.

–ეს როგორ დაიკო? აქ მოსვლით მეც კარგი ადამიანების რიცხვს მივეკუთვნები?

–დიახ ფინარ. შენ საუკეთესო ადამიანებიდან ერთ-ერთი ხარ!

–დაიკო, მე აქ სასწავლად მოვდივარ. თანაც რომ ვისწავლი, მერე სხვასაც თუ ვასწავლი ორჯერ უფრო კარგი ვიქნები?

ფატმამ ამ კითხვას ღიმილით უპასუხა:

–დიახ ტკბილო გოგონა, ორჯერ უკეთესი იქნები!

ორივეს გაეცინა.

## დაიმახსოვრეთ

ადამიანებისგან ყველაზე ძვირფასნი ისინი არიან, ვინც ყურანს სწავლობენ და ასწავლიან.

ჰზ. მუჰამმედ (ს.ა.ვ.)



muslimgeorgia





muslim georgia

# თურმე სხვა წიგნების ყოფილა

ფინარმა უკვე ჩვეულებად აქცია და როგორც კი გამონახავდა თავისუფალ დროს, ყურანი ქერიმს კითხულობდა. ეს მას ამედნიერებდა. თავს ალლაჰთან უფრო ახლოს გრძნობდა. ამავდროულად საკუთარ ქცევებს უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა. ყურანი ქერიმის წაკითხვის შემდეგ, თურქულად განმარტებას კითხულობდა და ცდილობდა ცხოვრებაში გამოეყენებინა. ყოველ დღე ახალ რამეს სწავლობდა. კლასის მეგობარი, ესმა, რომელიც ფინარის გვერდით ჯდებოდა, მასში მთლიან დროს ცვლილებებს ამჩნევდა, მაგრამ მიზეზს ვერ ხვდებოდა. ერთ დღესაც ვერ მოითმინდა და ჰკითხა:

– ფინარ, შენ ყოველთვის კარგი მეგობარი იყავი, მაგრამ მთლიან დროს შენში ცვლილებებს ვამჩნევ. თითქოს უკეთესი გახდი. მხოლოდ ჩემს მიმართ კი არა, ყველას მიმართ. ცდილობ არავის ეჩხუბო, ვინმე ცუდად თუ მოგმართავს არ ეპასუხები. შენში ეს ცვლილება რამ გამოიწვია?



სინამდვილეში ამ კითხვამ ფინარი გაახარა. ეს იმაზე მეტყველებდა, რომ მხოლოდ წაკითხული კი არ რჩებოდა, არამედ ცხოვრებაშიც შეძლო წაკითხულის გამოყენება.

–ალლაჰის გამოგზავნილ წიგნს ვკითხულობ და ბევრ რამეს ვსწავლობ, –უპასუხა.

–რომელს? –ჰკითხა ესმამ.

–რომელი იქნება? ალლაჰმა რამდენი წიგნი გამოგზავნა? რა თქმა უნდა ყურანი ქერიმიდან ვსწავლობ, –უთხრა.

–ალლაჰს სხვა წიგნებიც გამოუგზავნია, ამიტომ გკითხე, –უპასუხა ესმამ. ფინარი გაოცდა. ესმამ გააგრძელა:

–დიახ, შარშან ყურანი ქერიმის კურსებზე რომ დავდიოდი, მასწავლებელმა ასე გვითხრა, მაგრამ ზუსტად არ მახსოვს.

ფინარი ამან ძალიან დააინტერესა. ესმას შესთავაზა:

–რახან არც ერთმა არ ვიცით, ერთად მოვიძიოთ და გავიგოთ. რას იტყვი?





ეს შემოთავაზება ესმასაც ძალიან მოეწონა.

–კარგი, მაგრამ როგორ მოვიძიოთ ინფორმაცია, სად შეგვიძლია ნახვა? –ჰკითხა. სკოლის ბიბლიოთეკა გაახსენდათ. ერთად ბიბლიოთეკაში წავიდნენ. ბიბლიოთეკაში მომუშავეს უთხრეს, რისი მოძიებაც სურდათ. მანაც თაროდან ერთი წიგნი აიღო და მიაწოდა.

–შეგიძლიათ ამ წიგნში თქვენთვის სასურველი ინფორმაცია ნახოთ, –უთხრა. წიგნს ეწერა "ძვირფასი წიგნები". როგორც ჩანს ალლაჰს მართლაც რამდენიმე ძვირფასი წიგნი გამოუგზავნა. ინტერესით დაიწყეს კითხვა. "ალლაჰმა ოთხი დიდი წიგნი ოთხ შუამავალს გამოუგზავნა"– ეწერა. ქვემოთ განმარტებაც ჰქონდა. კითხვა განაგრძეს. "ამ ძვირფასი წიგნებიდან ერთ–ერთს თევრათი ჰქვია. ალლაჰმა ეს წიგნი შუამავალ მუსას (მოსე) გამოუგზავნა. წიგნი, რომელიც ალლაჰმა შუამავალ დავუთს (დავითი) გამოუგზავნა, ზებური ჰქვია. ოთხი დიდი წიგნიდან მესამეს რიგია. მას ინჯილი ჰქვია." აქ ფინარმა შეისვენა.

–ააა, ჩვენს გვერდით კლასში ერთ გოგოს ინჯი ჰქვია. ასე შეგვიძლია დავიმახსოვროთ, –თქვა. ესმას ფინარის სიტყვები სასაცილოდ ეჩვენა და გაიცინეს. მერე გაახსენდათ რომ ბიბლიოთეკაში იყვნენ. თავები რომ აწიეს, დაინახეს იქ მომუშავე გოგომ საჩვენებელი თითი ტუჩთან მიიტანა "ჩჩჩ!"–ს საჩვენებლად. ეს დაინახეს და ჩუმად კითხვა

გააგრძელეს. "ინჯილი ჰაზრეთი ისას (იესო) გამოუგზავნა." ამჯერად კითხვა ესმამ შეაწყვეტინა:

–ორივე ასო "ი"–ზე იწყება. ინჯილი–ისა, მარცივად დავიმახსოვრებთ, –თქვა. ისევ დაავიწყდათ ბიბლიოთეკაში რომ იყვნენ. მომუშავე გოგონას თითი ისევ რომ არ დაენახათ ტუჩთან, რომელიც "ჩჩჩ"–ს აღნიშნავდა, თავები აღარ ასწიეს და ხმადაბლა გაიცინეს. კითხვა გააგრძელეს. "ბოლო წიგნი, ყურანი ქერიმი, ჰაზრეთ მუჰამმედს გამოუგზავნა" –ეწერა. როგორც ჩანს ალლაჰმა ბოლოს ყურანი ქერიმი გამოგზავნა. დანარჩენებს რა მოუვიდა? ფინარი ამ კითხვაზე პასუხს ფიქრობდა. სწორედ ამ დროს ზარი დარეკეს. ფინარმა ამ კითხვაზე პასუხი ვერ გაიგო. ინტერესის დასაკმაყოფილებლად ბიბლიოთეკაში სახელი ჩააწერინა და წიგნი წაიღო. ესმას უთხრა:

–არ იდარდო, მე წავიკითხავ და შენ აგიხსნი. მოსაღამოვდა, დავალებების დასრულების შემდეგ



წამოღებული წიგნი გადაშალა და კითხვა დაიწყო. გაიგო, რომ ადრე გამოგზავნილი წიგნებიც ალლაჰმა გამოგზავნა. იმ წიგნებზე მხოლოდ ეს არ შეუცყვია, ისიც გაიგო, რომ ადამიანებს ისინი შეეცვალა და გაეფუჭებინა. დღეს რაც არის, ისინი ორიგინალი არაა. ალლაჰმა ამიცომ გამოგზავნა ბოლო წიგნი, ყურანი ქერიმი. მას ვერ შეცვლიდნენ, რადგან აცნობა რომ ის მას დაიცავდა.

მეორე დღეს სკოლაში რომ მივიდა, ესმას მოუყვა რაც წაიკითხა. ესმამ უთხრა, რომ ყურანი ქერიმის სწავლა უნდოდა.

–რა თქმა უნდა გასწავლი. თანაც ორმაგად კარგი ვიქნები, –თქვა და გაიცინა.

–უკაცრავად, ვერ გავიგე, –უთხრა ესმამ. ფინარს გაეღიმა და უთხრა:

–არაუშავს, მერე აგიხსნი.





muslim georgia

# მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი

შეჯიბრის დღე ახლოვდებოდა. დაპირებისამებრ, მასწავლებელმა კითხვის მეორე შეჯიბრი ჩაატარა. ის სამი მოსწავლე, რომელიც ყველაზე მეტს წაიკითხავდა, დასაჩუქრდა. ფინარმა რამდენიმე წიგნი წაიკითხა, თუმცა ეს არ იყო საკმარისი პირველობისთვის. ამ დროის განმავლობაში ყურანი ქერიმის კითხვაც გაეუმჯობესებინა. როგორც კი დროს ნახავდა, ნახევარ ან ერთ გვერდს თან არაბულად და თან თურქულად კითხულობდა. ცდილობდა ყურანი ქერიმი კარგად გაეგო. თავში ერთი იდეა მოუვიდა. ყურანი ქერიმის მთლად ამოშინაარსება ძალიან რთული იყო, მაგრამ შეეძლო მთელი გრძნობით ის დაეწერა, რაც გაიგო. ხელში ქაღალდი და კალამი აიღო და წერას შეუდგა:

"ყურანი ქერიმის კითხვა მაბედნიერებს, რადგან ყურანი ქერიმი ალლაჰისგან ჩვენდამი გამოგზავნილი წიგნია. კითხვისას ვგრძნობ, რომ ალლაჰს ძალიან ვუყვარვარ. ეს წიგნი ჩვენ სასიკეთოდ გამოიგზავნა. მასში ჩვენთვის სასარგებლო ინფორმაციებია. ყურანი ქერიმი პირველ რიგში გვასწავლის, რომ კარგი ადამიანი უნდა ვიყოთ. ის ვინც მას წაიკითხავს და ისე მოიქცევა, როგორც იქაა მითითებული, ბოროტებას არ ჩაიდენს. არ მოიტყუებს,

არავის აწყენინებს, სხვები ეყვარება და კეთილი იქნება. ალლაჰმა ეს წიგნი მთელ კაცობრიობას გამოუგზავნა. იმიცდომ რომ ყველა ძალიან უყვარს, უნდა ყველა ბედნიერი იყოს. ალლაჰმა იცის, ადამიანები თუ იმის მიხედვით იცხოვრებენ, რაც იქ წერია, ბედნიერი იქნებიან. ნეცავ ყველა ხვდებოდეს ამას! არც ომი იქნებოდა ამ ქვეყნად და აღარც ჩხუბი. არავინ მოკლავდა, მოიპარავდა და სხვას სიმშვიდეს არ დაურღვევდა. ნეცავ შესაძლებელი იყოს, რომ ხელში მიკროფონი ავიღო და მთელ მსოფლიოს ვუთხრა ეს ყველაფერი! მაგრამ ასე მარცივია ეს ყველაფერი? ჩვენს შუამავალს როგორ უწვალია, ადამიანებისთვის ალლაჰის გამოგზავნილი წიგნი რომ აეხსნა!

მე ყურანი ქერიმს რომ ვკითხულობ, ჩემში ალლაჰისთვის მადლობის გადახდის სურვილი იღვიძებს. ალლაჰი ყურანი ქერიმში ღამეზე, დღეზე, მთებზე, ხეებზე გვესაუბრება. ამ სამყაროზე და მის გაჩენაზე გვიყვება. სურს რომ ამ ყველაფერზე დავფიქრდეთ. ანუ ჩვენ ირგვლივ არსებულ სილამაზეს გვაჩვენებს. ამბობს, რომ



ყველა ეს სილამაზე ჩვენთვის გააჩინა. დიახ, ჩვენ იმდენად ვუყვარვართ, რომ ყველაფერი ჩვენთვის გაუჩენია. ჩემი აზრით, მისთვის მადლობის გადასახდელად ყურანი ქერიმი ხშირად უნდა ვიკითხოთ. თანაც რაც უფრო მეტს წავიკითხავთ, მით უკეთ ვეცნობით ჩვენს გამჩენს, დიად ალლაჰს. უფრო მეტად გვიყვარდება და უფრო მეტად ვცემთ პატივს. ღვთისმსახურებას, ჩვენთვის გამოგზავნილისთვის მადლობის გადახდას და ვალების გადახდას ვსწავლობთ. ამასთან ერთად, ალლაჰი ყურანი ქერიმში იმასაც გვიხსნის, ადრე როგორ ცხოვრობდა ხალხი. მათ შეცდომებს გვიხსნის და უნდა რომ მათ შეცდომებზე ვისწავლოთ. აი ასე ძლიერ ვუყვარვართ ალლაჰს! ყურანი ქერიმში იმ ნამდვილ ცხოვრებაზე გვიხსნის, რომელიც იმ ქვეყანაზეა. გვიხსნის იმიტომ, რომ ჩვენს ქცევებს ყურადღება მივაქციოთ. ყურანი ქერიმიდან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. ინფორმაციის დაუსრულებელი ხაზინაა. ყოველ წაკითხვაზე ახალ რამეებს ვსწავლობ. ამავდროულად, ის ჩემი საუკეთესო მეგობარია. მუდამ სიკეთისკენ მომიწოდებს. ცდილობს ცუდი ქცევებისგან შორს ვიყო. მჯერა, რომ სანამ მისი მეგობარი



ვარ, ცუდად არ მოვიქცევი. მსურს ჩემი ყველა მეგობრის საუკეთესო მეგობარი ის იყოს!"

ფინარმა შეჯიბრის დღეს მასწავლებელს წიგნის შინაარსებთან ერთად ეს ჩანაწერიც აჩვენა. გამარჯვებულის გამოვლენის დრო დადგა. ფინარი ისევ ვერ გახდა პირველი. უფრო მეტიც, რახან ბევრი წიგნი ვერ წაიკითხა, პირველ სამეულშიც ვერ მოხვდა ამჯერად. პირველ სამ ადგილას გასულმა მეგობრებმა აიღეს კუთვნილი საჩუქრები და თავიანთ ადგილას დასხდნენ. შედეგების გამოცხადების შემდეგ, მასწავლებელმა მოსწავლეებს მიმართა, რომ გაჩუმებულიყვნენ. ფინარს დაუძახა. ყველას აინტერესებდა რა მოხდებოდა. მასწავლებელს ფინარის ჩანაწერი წაეკითხა და მოხიბლულიყო. ამიტომ ფინარი მასთან მიიყვანა და სთხოვა ეს ყველაფერი ხმამაღლა მისი მეგობრებისთვისაც წაეკითხა. აღელვებულმა ფინარმა მეგობრებს წაუკითხა. კითხვა რომ დაასრულა, მიუხედავად იმისა რომ ვერ გაიმარჯვა, მასწავლებელმა მას წიგნი აჩუქა. ფინარმა იმისთვის, რომ ყურანი ქერიმი საუკეთესო მეგობრად მიიღო, უკვე ჯილდოვდებოდა. შესვენებისას ყველა მეგობარი მასთან მივიდა. ჰკითხეს თუ როგორ ისწავლა ყურანი ქერიმის კითხვა. ზოგიერთმა მათგანმა სთხოვა მისთვისაც ესწავლებინა კითხვა. ფინარს ფაცმას ნათქვამი გაახსენდა. ჩვენს შუამავალს უთქვამს, "ადამიანებისგან ყველაზე ბვირფასნი ისინი არიან, ვინც ყურანს სწავლობენ და ასწავლიან." ამან დააფიქრა და მეგობრებს ყურანი ქერიმის სწავლებაზე დაეთანხმა.



ჩემი და ყველაფრის გამჩენი ალლაჰია
ანგელოზები, რომლებიც ჩვენთვის მეგობრებიან
ძვირფასი წიგნები, რომლებიც გზას გვიჩვენებენ
შუამავლები საუკეთესო მაგალითები არიან
უსასრულო ცხოვრება, მუდმივი სამყოფელი
მოხდება ის,